საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა

მოკლე მიმოხილვა | 2018

vbjk
Centre for Innovation in the Early Years

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

unicef
for every child

© გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
ივნისი, 2018წ.

UNICEF
ერისთავის ქ. №9, გაეროს სახლი
0179, თბილისი, საქართველო
ტელ: 995 32 2 23 23 88, 2 25 11 30
ელ. ფოსტა: tbilisi@unicef.org
www.unicef.ge

ავტორები: იან პიტერსი, UNICEF-ის კონსულტანტი და ჰესტერ ჰულპია (VBJK).
კვლევაში წვლილი შეიტანეს: გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მკვლევართა ჯგუფი, ანა ჯანელიძე (ადრეული განათლების ოფიცერი, UNICEF საქართველო), მაია ყუფარაძე (განათლების ოფიცერი, UNICEF საქართველო), თეა სიფრაშვილი (სკოლამდელი განათლების კონსულტანტი, UNICEF საქართველო).

წინამდებარე პუბლიკაციაში გადმოცემული კვლევის შედეგები, ინტერპრეტაცია და დასკვნები გამოხატავენ ავტორის მოსაზრებას და არ არის აუცილებელი, ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის შეხედულებებს.
გარეკანის ფოტო: თამარ გურგენიძე, 2015

საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა

მოკლე მიმოხილვა

2018 წ.

შესავალი

წინამდებარე შემოკლებული ანგარიში ეყრდნობა მონაცემებს საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევიდან. ეს კვლევა ერთობლივად ჩაატარეს საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა (NAEC), საერთაშორისო კონსულტანტის ხელმძღვანელობით. ადრეული ზრუნვისა და განათლების ხარისხის ევროპული ჩარჩო[1] გამოყენებული იქნა, როგორც ჩარჩო საქართველოში საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლების ხარისხის ანალიზისთვის შემდეგი ხუთი მიმართულებით: ხელმისაწვდომობა, პერსონალი, კურიკულუმი (საგანმანათლებლო პროგრამა), მონიტორინგი და მართვა. ამასთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ახალი ეროვნული სტანდარტები (ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი და აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული სტანდარტები) აგრეთვე იქნა გამოყენებული კვლევაში იმ ძირითადი გამოწვევების გამოსავლენად, რომლებიც მათი განხორციელებისას წამოიჭრება. მეთოდოლოგია მოიცავდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დარგის ანალიზს პოლიტიკის დონეზე (ეროვნული სტანდარტების განხილვა, ინტერვიუები პოლიტიკის შემქმნელებთან და ფოკუს ჯგუფები ძირითად მონაწილე მხარეებთან), ყველა მუნიციპალიტეტის (64) რაოდენობრივი გამოკითხვა და 22 ფოკუს ჯგუფი სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში (სულ 124 მონაწილე, მათ შორის, სკოლამდელი დაწესებულებების მენეჯერები, აღმზრდელები, სპეციალური პედაგოგები, ფსიქოლოგები, მეთოდისტები, მშობლები, ლექტორები).

კვლევის დასაბუთება: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხი საერთაშორისო დღის წესრიგში

სკოლის ნაადრევი მიტოვების თავიდან აცილებაში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების როლის შესახებ უახლოეს წარსულში გამოქვეყნებული ლიტერატურის კვლევამ აჩვენა, რომ ადრეული აღზრდისა და განათლების ხარისხიანმა სისტემამ შესაძლოა გამოიღოს მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი, რომელიც შემდგომ წლებზეც აისახება (Dumcius, Peeters, et al., 2015წ.[2]). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადრეული აღზრდისა და განათლების ხარისხიანი სისტემა საფუძველია სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვებში სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში მათი სასკოლო განათლების დასრულებამდე. ამასთან, ადრეული და სკოლამდელი განათლება მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის, და ყველა ბავშვისთვის, როგორც მოქალაქეებისთვის, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. არსებობს ფართო კონსენსუსი მკვლევრებს, ორგანიზაციებსა და პოლიტიკის შემქმნელებს შორის, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხი, და საბოლოო ჯამში, შედეგები ბავშვებისა და ოჯახებისთვის, დამოკიდებულია სათანადო განათლების მქონე და კომპეტენტურ კადრებზე (Dumcius, Peeters, et al, 2015წ.).

ხარისხიანი ადრეული განათლების მნიშვნელობაზე საგანგებოდ მიეთითა გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგით. მდგრადი განვითარების მიზანი 4.2 ითვალისწინებს, რომ 2030 წლისთვის **„ყველა გოგოსა და ბიჭს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან ადრეულ განვითარებაზე, ზრუნვასა და სკოლამდელ განათლებაზე ისე,**

რომ ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისთვის“, და მოუწოდებს სკოლაში ჩარიცხვამდე სულ მცირე ერთწლიანი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფისაკენ.

1 ხელმისაწვდომობა

ჩართულობა

საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი (69,5%) ევროპულ სამიზნე ნიშნულზე (4-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა 95%) დაბალია. ჩარიცხვის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებში (33%), სოციალურად დაუცველ ბავშვებში (39,7%) და სოფლად (46,8%). განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სკოლამდელ დაწესებულებებში ჩარიცხვის შემთხვევაში, საბავშვო ბაღში სრული ინკლუზიისა და მონაწილეობის თვალსაზრისით, ისინი მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ჩარიცხვის მაჩვენებლები მაღალია, დიდია ბავშვების რაოდენობაც თითო ჯგუფში (მაგალითად, თბილისში თითო ჯგუფზე საშუალოდ 39 ბავშვი მოდის, ზოგიერთ ჯგუფში კი 60-მდე ბავშვია). ჯგუფში ბავშვების სიმრავლე მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე. ამდენად, ხარისხისა და პერსონალისთვის სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, ქალაქად, თითოეულ ჯგუფში ბავშვების რაოდენობის შესამცირებლად, მეტი ჯგუფისა და აღმზრდელის საჭიროება იკვეთება.

2 - 5 წლის ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით





არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების ჩარიცხვის პოლიტიკა

არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების, ისევე როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საბავშვო ბაღებში ჩარიცხვის ხელშემწყობი თანმიმდევრული პოლიტიკა, თუ არ ჩავთვლით უფასო კვების შემოღებას, არც მუნიციპალურ და არც ეროვნულ დონეზე, არ არსებობს. მუნიციპალიტეტების უმრავლესობა, მონაცემებს ზოგადი ჩართულობის ან არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფებისთვის ჩართულობის მაჩვენებლების შესახებ, არ აგროვებს. არც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კერძო დაწესებულებებში ბავშვთა ჩართულობის ამსახველი მონაცემები მოიპოვება, რადგან მუნიციპალიტეტები არ აგროვებენ მონაცემებს კერძო სკოლამდელი დაწესებულებებიდან; თუმცა, სხვა კვლევების თანახმად, კერძო სექტორი მხოლოდ ჩარიცხულ ბავშვთა მცირე წილს (2%) ემსახურება (UNICEF, 2016წ.[3]).

ზოგადად, საბავშვო ბაღების პერსონალის კომპეტენციები, მრავალფეროვნების კონტექსტში სამუშაოდ, დაბალია. ასევე დაბალია ცოდნა და კომპეტენციები არახელსაყრელი მდგომარეობისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ინკლუზიის საკითხებთან დაკავშირებით. სკოლამდელი განათლების დაწესებულებების თანამშრომლებს ერთგვარი უნდობლობა აქვთ არახელსაყრელი მდგომარეობის მქონე ბავშვთა მშობლების მიმართ, ისევე როგორც იმ მშობლების მიმართ, რომელთაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე შვილები ჰყავთ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინკლუზიისთვის მნიშვნელოვანი ბარიერებია: ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, ჯგუფებში ბავშვების სიმრავლე და აღმზრდელთა დაბალი კომპეტენციები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზოგიერთი ბავშვი სკოლამდელ განათლებას შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ არსებული სოციალური სტიგმის გამო ვერ იღებს. იმ მუნიციპალიტეტებშიც (ძირითადად, ქალაქებში), სადაც დაქირავებულია სპეციალიზებული დამხმარე კადრები (მაგალითად,

მეთოდისტები, ფსიქოლოგები, სპეც. პედაგოგები და სხვ.), მათი კომპეტენცია და კვალიფიკაცია, ხშირად, შეუსაბამოა და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს საბავშვო ბაღში ინკლუზიური განათლების დანერგვას. მაგალითად, სპეც. პედაგოგებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები, ხშირად, ჯგუფიდან გაჰყავთ და მათთან ინდივიდუალურად მუშაობენ ნაცვლად იმისა, რომ აღმზრდელს ეხმარებოდნენ ამ ბავშვების ჯგუფში, თანატოლებთან ერთად თამაშსა თუ აქტივობებში სრულად მონაწილეობაში.

2 პერსონალი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სკოლამდელი დაწესებულებები მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას, ვინაიდან პერსონალის დიდ ნაწილს არ აქვს კვალიფიკაცია, ან აქვს ისეთი კვალიფიკაცია, რომელიც ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებას არ უკავშირდება. 57 მუნიციპალიტეტიდან მოპოვებული მონაცემების თანახმად, აღმზრდელთა 44% არაკვალიფიციურია. ამასთან, დირექტორთა 50% არ ფლობს ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ განათლებას. კვლევამ აჩვენა, რომ 13 მუნიციპალიტეტს არ ჰყავს ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებაში ბაკალავრის ხარისხის მქონე არცერთი აღმზრდელი. მრავალი მუნიციპალიტეტისთვის პრობლემაა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალიზებული დამხმარე პერსონალის (სპეც. პედაგოგები, ფსიქოლოგები და სხვ.) ნაკლებობაც.

სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა კვალიფიკაცია



- უმაღლესი განათლება სკოლამდელი განათლების დარგში
- პროფესიული განათლება სკოლამდელი განათლების დარგში
- არ აქვს განათლება სკოლამდელი განათლების დარგში

პირველადი განათლება (პროფესიაში შესვლამდე)

მაშინ, როდესაც გამოკითხულთა უმრავლესობა აღიარებს მაღალი ხარისხის პირველადი განათლების მნიშვნელობას, მხოლოდ მცირე ნაწილს თუ აქვს გავლილი უნივერსიტეტში სპეციალიზებული მომზადება ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების საკითხებზე, თანაც დაახლოებით 20 ან 25 წლის წინ. მათი განათლება ძირითადად თეორიული კურსებით შემოიფარგლებოდა და პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას არ მოიაზრებდა. თუმცა, როგორც კვლევა გვიჩვენებს, კავშირი თეორიასა და პრაქტიკას შორის, ადრეული ასაკის ბავშვებთან მუშაობისთვის აუცილებელი კომპეტენციების შესაძენად (CoRe, 2011წ.[4]), არსებითია.

ამჟამად უკვე არის პროფესიული განათლების პროგრამები, რომლებიც აქცენტს უფრო მეტად პრაქტიკულ უნარებზე აკეთებენ და გამოკითხულთა ინფორმაციით, არსებობს ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების დარგში სპეციალიზებული საბაკალავრო განათლების მწვავე საჭიროება. საუნივერსიტეტო დონეზე, ადრეული აღზრდა და განათლება მხოლოდ მეორადი პროგრამაა (მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში), რომელიც კურსდამთავრებულს კვალიფიკაციას არ ანიჭებს, რაც, ბუნებრივია, სკოლამდელი განათლების დარგში სამუშაოდ პედაგოგების მოსამზადებლად, საკმარისი არ არის.

უწყვეტი პროფესიული განვითარება

სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალის უმრავლესობას ტრენინგი არ გაუვლია უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. მენტორობა, „ქოუჩინგი“, როგორც წესი, უცნობი ან ახალი მიდგომაა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართ; ამ მხრივ, აღსანიშნავია იმ მეთოდების ნაკლებობა, რომელთა ეფექტიანობა დამტკიცებულია და რომლებიც სამეცნიერო კვლევებს ეყრდნობა.

აღმზრდელებისა და პედაგოგების უმრავლესობა მოწადინებულია, გაიაროს კურსები პროფესიული კომპეტენციების გასაუმჯობესებლად, მაგრამ დაწესებულებებს თავისი კადრებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების საფასურის ასანაზღაურებლად ფინანსური რესურსები არ გააჩნიათ, და ვინაიდან აღმზრდელებისა და პედაგოგების ხელფასი მეტად დაბალია, ისინი ვერ ახერხებენ ამგვარ კურსებზე დასწრებას. ამასთან, ბევრ მუნიციპალიტეტში აღმზრდელებს და თანაშემწეებს არ აქვთ ე.წ. არასაკონტაქტო საათები (ჯგუფს გარეთ სამუშაო დრო), რომლებიც გამოყოფილი იქნებოდა პროფესიული განვითარებისთვის.

რადგანაც უწყვეტი პროფესიული განვითარების რაიმე პროგრამა, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, საბავშვო ბაღის თანამშრომელთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს აქვს გავლილი, ადრეული აღზრდისა და განათლების დარგში თანამედროვე მიდგომებზე, მათ ხელი არ მიუწვდებათ. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას, და მთავრობამ დააფინანსოს უწყვეტი პროფესიული განვითარების პოლიტიკა (კურსები და „ქოუჩინგი“), ვინაიდან უწყვეტი პროფესიული განვითარება არსებითია სკოლამდელი განათლების პერსონალის კომპეტენციების გასაზრდელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად (Eurofound, 2015წ.[5]; Peleman, et al, 2018წ.[6]).

სამუშაო პირობები

საქართველოში სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებულ აღმზრდელთა სოციალური სტატუსი მეტად დაბალია. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის, მათ შორის დირექტორების, ხელფასი ძალზე დაბალია. სრულ განაკვეთზე დასაქმებული აღმზრდელის საშუალო ყოველთვიური ხელფასი 336 ლარს შეადგენს, რაც თითქმის სამჯერ ნაკლებია, ვიდრე საქართველოში დასაქმებული მოსახლეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი (940 ლარი)[7]. ამასთან, არ არსებობს ხელფასის ზრდის სისტემა.



სკოლამდელი დაწესებულებების უმრავლესობაში ჯგუფებში ბევრი ბავშვია, რაც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხს საგრძნობლად აუარესებს: აღმზრდელები ვერ ახერხებენ ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას და ისეთ პედაგოგიურ და ქცევის მართვის სტრატეგიებს იყენებენ, რომლებიც ბავშვების განვითარებისთვის შეუსაბამოა. სხვა პრობლემები, რომლებიც წინამდებარე კვლევის შედეგად გამოიკვეთა, მოიცავს საბავშვო ბაღების უმრავლესობაში აღმზრდელების ხანგრძლივ სამუშაო საათებსა და არასაკონტაქტო საათების ნაკლებობას (უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის, დაგეგმვისთვის, თვით-შეფასებისთვის და სხვ.).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადატვირთული ჯგუფები, ხანგრძლივი სამუშაო საათები, დაბალი ხელფასები, საწყისი (საუნივერსიტეტო) განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ნაკლებობასთან ერთად, საქართველოში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაბალი ხარისხის ძირითადი მიზეზებია.

3 საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)

ახალი საგანმანათლებლო სტანდარტები

ფოკუს ჯგუფებმა გამოავლინა, რომ სტანდარტები და შესაბამისი რესურსები სკოლამდელი განათლების მუნიციპალური სამსახურებისთვის მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ხელმისაწვდომია. თუმცა, ზოგიერთი მათგანი არ ფლობს ინფორმაციას სტანდარტებისა და დამხმარე რესურსების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების პერსონალი არ იცნობს სტანდარტებს და არ მიუწვდება ხელი დამხმარე რესურსებზე. გარდა ამისა, ხშირად, საბავშვო ბაღების ყველა თანამშრომელმა არ იცის ახალი სტანდარტების შესახებ (მაგალითად, სპეც. პედაგოგები, ფსიქოლოგები) და მშობლები არ იცნობენ იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლითაც სკოლამდელი დაწესებულებები მუშაობენ.

ამასთან, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ის პრაქტიკოსები, რომლებიც აცხადებენ, რომ სტანდარტებს იყენებენ, სრულად არ იცნობენ მის შინაარსსა და პრინციპებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა, შესაბამისად, სტანდარტების დასანერგად, აუცილებელია შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებების გატარება. საბავშვო ბაღების თანამშრომლებს, მწირი რესურსები და რესურსებით მდიდარი გარემოს საჭიროება, სტანდარტებისა და კურიკულუმის განხორციელების გზაზე ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად მიაჩნიათ.

ზოგიერთი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მენეჯერი/დირექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ აღმზრდელებს მეტად ტექნიკური მიდგომა აქვთ სტანდარტებისა და კურიკულუმის დანერგვის მიმართ. სკოლამდელი განათლების სფეროში ბაკალავრიატის დონეზე სპეციალიზებული მომზადების ნაკლებობისა და კონკრეტული კურიკულუმების შესახებ ტრენინგების არარსებობის გამო, აღმზრდელები, ყურადღებას უმეტესწილად იმ კონკრეტული აქტივობების „ბრმად“ განხორციელებაზე ამახვილებენ, რომლებიც მაგალითების სახით არის შემოთავაზებული დამხმარე სახელმძღვანელოებში და არ აქვთ გაცნობიერებული ის პედაგოგიური მიდგომები, რომლებსაც საგანმანათლებლო სტანდარტები და კურიკულუმი ეფუძნება.

საგანმანათლებლო მასალები

კვლევამ გვიჩვენა, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვის განვითარებისა და სწავლის ხელშემწყობი რესურსების სიმწირეა. ზოგიერთ შემთხვევაში, ამგვარი რესურსების მოტანის პასუხისმგებლობა მშობლებს ეკისრებათ, ზოგჯერ კი, აღმზრდელი მათ საკუთარი ფულით იძენს, რადგან სათამაშოებისთვის, ხარჯვადი რესურსებისთვის (როგორიცაა ფანქრები, ქაღალდი და სხვ.), წიგნებისა და სხვა საგანმანათლებლო მასალისთვის ბიუჯეტი თითქმის არ არსებობს. ამ რესურსებზე თითო ბავშვზე ყოველწლიურად მინიმალური თანხა იხარჯება: 56 მუნიციპალიტეტიდან მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ მუნიციპა-

ლიტეტების 62.5% 10 ლარზე ნაკლებს ხარჯავს თითო ბავშვზე ყოველ წელს საგანმანათლებლო რესურსებზე (ზოგიერთი მათგანი მხოლოდ 0.73 და 1.11 ლარს ხარჯავს).

წლიური ბიუჯეტი საგანმანათლებლო რესურსებისთვის თითო ბავშვზე მუნიციპალიტეტების მიხედვით



საქმიანობები

საბავშვო ბაღების თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია საქმიანობების მორგება ბავშვების ინტერესებზე და მეტი აქცენტის გაკეთება ბავშვის ინიციატივასა და თამაშებზე, რაც ყველაზე უკეთ უწყობს ხელს ბავშვის განვითარებას. თუმცა საბავშვო ბაღების გადატვირთული ჯგუფებისთვის ეს რთულად შესასრულებელი ამოცანაა. ამას ასევე უშლის ხელს საბავშვო ბაღების ნაკლებად ავტონომიურობა (საბავშვო ბაღებს ხშირად არ ეძლევათ თავისუფლება, კურიკულუმის ან შეთავაზებული აქტივობების წიგნების ადაპტირებისთვის).

მოკლევადიანი სკოლამდელი პროგრამები

არცერთ გამოკითხულ საბავშვო ბაღში არ ფუნქციონირებს მოკლევადიანი პროგრამები. ზოგიერთ მუნიციპალიტეტს მიაჩნია, რომ ეს მიზანშეწონილია, რადგან, მათი აზრით ამ პროგრამებში ყურადღება მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესზე მახვილდება და შეუძლია გაზარდოს სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, ნაკლები მატერიალური და ფინანსური რესურსის გამოყენებით. აგრეთვე, შესაძლოა, უფრო მოსახერხებელი იყოს მოწყვლადი ჯგუფებისთვის. თუმცა, სხვების აზრით, მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობების შემცველი პროგრამა თამაშისა და აღზრდის საქმიანობების მნიშვნელობას უგულებელყოფს. ეს მოსაზრება თამაშის, განათლებისა და აღზრდის განცალკევების შესახებ, პრობლემურია, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება ბავშვის ადრეული განვითარების თანამედროვე თეორიულ და პრაქტიკაზე დაფუძნებულ გაგებას, რომელიც თამაშს, სწავლასა და აღზრდას ადრეული განათლების პრაქტიკის ერთმანეთისაგან განუყოფელ განზომილებებად

განიხილავს (Broström, 2003წ.[8]; Pramling-Samulesson & Johansson, 2006წ.[9]). მშობლები მოკლევადიან პროგრამას ძირითადად იმიტომ აკრიტიკებენ, რომ იგი არ არის მორგებული მათ საჭიროებებზე და მათ სამუშაო საათებს არ შეესაბამება.

პედაგოგიური ხედვა და მიდგომა

მუნიციპალიტეტების 52.2%-ში სკოლამდელ დაწესებულებებს არ აქვთ შემუშავებული საბავშვო ბაღის პედაგოგიური ხედვა ან მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საბავშვო ბაღი იყენებს ამა თუ იმ პედაგოგიურ სტრატეგიას, რომელიმე მათგანს იშვიათად თუ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა და მისია სამეცნიერო თეორიის საფუძველზე. ზოგიერთმა რესპონდენტმა გაიხსენა კონკრეტული პედაგოგიური მიდგომები, თუმცა მათ ვერ დაასახელეს მათი შინაარსი ან გამოყენების გამოცდილება თავიანთ საგანმანათლებლო პრაქტიკაში. ეს შეიძლება აიხსნას როგორც პედაგოგიურ საკითხებზე შეზღუდული ავტონომიით, რომელიც ენიჭებათ სკოლამდელი განათლების დაწესებულებების დირექტორებს, ასევე ტრენინგების ნაკლებობითაც.

მშობელთა მონაწილეობა

მშობლებთან კომუნიკაცია ძირითადად დასკვნითი ღონისძიებით (ეგრეთწოდებული „ზეიმი“) ამოიწურება და შესაბამისად, უკავშირდება საბავშვო ბაღში მიმდინარე პროცესის მხოლოდ „დასკვნით“ ეტაპს და არა ყოველდღიურ პრაქტიკას წლის განმავლობაში, ან სკოლამდელი დაწესებულების პოლიტიკას. სახეზეა კომუნიკაციის ნაკლებობა და ერთგვარი უნდობლობა საბავშვო ბაღების თანამშრომლებსა და მშობლებს შორის. ამასთან, ჯგუფებში ბავშვების სიმრავლე ზეგავლენას ახდენს ოჯახებთან კომუნიკაციაზე, ვინაიდან აღმზრდელები საჭირო ყურადღებას ვერ უთმობენ თითოეული ბავშვის მშობლებს.

მშობელთა მონაწილეობა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის თვალსაზრისით, არსებითი ასპექტია. იგი მოითხოვს სისტემატურ მიდგომას და ნათლად ჩამოყალიბებულ პოლიტიკას როგორც სკოლამდელი დაწესებულების ყველა თანამშრომლის (განსაკუთრებით, აღმზრდელებისა და დირექტორების), ისე მუნიციპალიტეტის დონეზე.

თანამშრომლობა კოლეგებთან

კვლევამ გვიჩვენა, რომ კოლეგებს შორის ფორმალური თუ არაფორმალური თანამშრომლობის პრაქტიკა ძალზე იშვიათია. კოლეგებთან თანამშრომლობა შემოიფარგლება პროფესიული რჩევებით, რომელსაც დირექტორი, მუნიციპალური სამსახურის მეთოდისტი თუ სკოლამდელი დაწესებულების ფსიქოლოგი აძლევს აღმზრდელს. არცერთ მონაწილე საბავშვო ბაღს არ განუცხადებია რაიმე პრეცედენტის შესახებ, როდესაც განიხილეს და კოლეგებს პროფესიული დილემა ან კურიკულუმთან დაკავშირებული საკითხები გაუზიარეს. მიუხედავად იმისა, რომ კოლეგებს შორის თანამშრომლობა შეზღუდულია, ყველა მათგანს მიაჩნია, რომ მათი პროფესიული პრაქტიკის საერთო რეფლექსია ძალიან მნიშვნელოვანია.

თვითრეფლექსია და კოლეგებთან ერთად მსჯელობა მოითხოვს ნდობით აღსავსე ატმოსფეროს სხვადასხვა დონეზე, და სპეციფიკურ კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა დაეთმოს ყურადღება საუნივერსიტეტო განათლებისა და შემდგომი ტრენინგებისას. შესაბამისად, ლიტერატურიდან (Sharmahd, et al., 2017წ.[10]) ვიცით, რომ პედაგოგიური პრაქტიკის შესაცვლელად, კოლეგებთან თანამშრომლობის სტიმულირებისთვის, რიგი არსებითი პირობების არსებობა აუცილებელია.

4 მონიტორინგი

ბავშვზე ინდივიდუალური დაკვირვება და დოკუმენტირება

ბავშვზე ინდივიდუალურ დონეზე დაკვირვება და დოკუმენტირება გავრცელებული პრაქტიკაა მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, თუმცა ყველა აღმზრდელი არ არის ინფორმირებული ჩანაწერების გაკეთების აუცილებლობის შესახებ და ის აღმზრდელებიც, რომლებიც ამას აკეთებენ, გარკვეულწილად, სკეპტიკურად არიან განწყობილნი. მიაჩნიათ, რომ ეს არის დამატებითი საკანცელარიო სამუშაო, წმინდად ფორმალური საქმიანობა, და არა მათი მუშაობის, და შესაბამისად, პედაგოგიური ხარისხის ხელშემწყობი ინსტრუმენტი. ზოგჯერ, სამუშაო პირობები ართულებს ინდივიდუალური შეფასების სისტემის თანმიმდევრულ გამოყენებას (მაგალითად, გადატვირთული ჯგუფები). ამასთან, ფოკუს ჯგუფებმა გამოავლინა, რომ მშობლები ყოველთვის არ მონაწილეობენ და არ არიან ინფორმირებულნი თავიანთი შვილების პროგრესისა და საჭიროებების შესახებ.

ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების კერძო დაწესებულებებს არ ეკისრებათ ხარისხის მონიტორინგის ვალდებულება და ეს ხელმძღვანელთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამასთან, რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, არ არსებობს სისტემური მონიტორინგი და შეფასება. ბავშვების პროგრესის მონიტორინგი არ მიმდინარეობს იმ რეგიონებში, სადაც პრობლემაა კვალიფიციური კადრები.

თვითშეფასება

მიუხედავად იმისა, რომ დაკვირვება და დოკუმენტირება მეტ-ნაკლებად გავრცელებული პრაქტიკაა, თვითშეფასებაზე ამას ვერ ვიტყოდით. მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა მხოლოდ 43.5%-მა განაცხადა, რომ ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურებები მიმართავენ თვითშეფასებას. მხოლოდ ექვს მუნიციპალიტეტში განაცხადეს, რომ ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების პერსონალი სისტემატურად განიხილავს თავის პროფესიულ საქმიანობას.

გარე შეფასება და მონიტორინგი

მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა უმრავლესობა ადასტურებს გარე შეფასების/მონიტორინგის არსებობას. ჩვეულებრივ, მონიტორინგს ატარებენ სკოლამდელი აღზრდისა

და განათლების მუნიციპალური სამსახურები (მათ შორის „სააგენტოები“ და „საბავშვო ბაღების გაერთიანებები“). თუმცა, მუნიციპალიტეტების 14.4% აღიარებს, რომ მათ საამისოდ არ აქვთ შესაბამისი რესურსი (მეტწილად კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო).

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ძირითადად, შემდეგ გამოწვევებზე მიუთითებენ: ხარჯები და ტრანსპორტირების პრობლემები მონიტორინგის მიზნებისთვის; საყოველთაო მარეგულირებელი დოკუმენტის არარსებობა, რომელიც გზამკვლევი იქნებოდა მონიტორინგის პროცესში, ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა; და კომუნიკაციის ნაკლებობა სხვადასხვა მონაწილე ორგანიზაციებს შორის. საბავშვო ბაღების პერსონალს მიაჩნია, რომ მუდმივი მონიტორინგი ქმნის სტრესულ გარემოს, რაც აისახება მათი მუშაობის ხარისხზე და შედეგად, ბავშვებზეც.

სკოლამდელი განათლების დაწესებულებების თანამშრომლები აკრიტიკებენ მონიტორინგის სიხშირესა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებებისა და სამსახურების სიმრავლეს. მათ მიაჩნიათ, რომ მმართველებსა და დაწესებულებებს შორის საჭიროა იყოს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. ხშირად, საბავშვო ბაღებს არც უფლებამოსილება აქვთ და არც რესურსები საიმისოდ, რომ შეასრულონ რეკომენდაციები ან გადაჭრან პრობლემები, ამიტომ კონტროლი და მონიტორინგი ფორმალობად მიიჩნევა, როგორც ბიუროკრატიული და ზედაპირული სისტემა, რომელიც მათ რეალურად არ ეხმარება განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესებაში.

5 მართვა

ადამიანური რესურსის მართვა მუნიციპალურ დონეზე

საქართველოში სკოლამდელი განათლების სექტორში კვალიფიციური კადრების მოზიდვა პრობლემური საკითხია. ამდენად, მუნიციპალურ და დაწესებულებების დონეზე ადამიანური რესურსის მართვის სისტემა მოტივირებული და კვალიფიციური პერსონალის მოსაზიდად და შესანარჩუნებლად, უმნიშვნელოვანესია. მუნიციპალიტეტების 40%-ს არ აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. დაწესებულებების დონეზე, საჯარო სკოლამდელი დაწესებულებების უმრავლესობას (83%) თავად არ შეუძლია შეარჩიოს და დაიქირაოს პერსონალი, ვინაიდან ეს მუნიციპალიტეტების კომპეტენციაში შედის. თუმცა, უფრო დიდი ზომის ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, გორი) და ონის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულებები პერსონალის დაქირავების საკითხებში ავტონომიას ინარჩუნებენ.

ინტეგრირებული მუშაობა

გამოკითხულ მუნიციპალიტეტებს ჰკითხეს, თანამშრომლობენ თუ არა საბავშვო ბაღები სხვა ადგილობრივ სერვისებთან და დაწესებულებებთან. სკოლამდელი დაწესებულებები აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ ჯანდაცვის სერვისებთან და ზოგიერთ შემთხვევაში სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან, სპორტ-კომპლექსებთან, მუზეუმებთან,

თეატრებთან, ბიბლიოთეკებთან, კულტურულ ცენტრებსა (ხელოვანებთან) და ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბებთან. საბავშვო ბაღები ნაკლებად თანამშრომლობენ სკოლებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრებთან, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, ან რაიმე ტიპის ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურებასთან. ეს მიუთითებს ბავშვებისათვის ტრანზიციის (სკოლამდელი დაწესებულებიდან სკოლაში) ხელშემწყობი მექანიზმების ნაკლებობაზე, განსაკუთრებით, სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის.

სკოლამდელი განათლების დაფინანსება

სკოლამდელი განათლების ბიუჯეტს მუნიციპალური სამსახური ანაწილებს და გამოყოფილი ბიუჯეტი სკოლამდელი დაწესებულების ზომაზეა (ბავშვთა რაოდენობა) დამოკიდებული. თუმცა ადგილმდებარეობის მიხედვით, საქართველოში საბავშვო ბაღების წლიურ ბიუჯეტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება. დიდია განსხვავება საგანმანათლებლო რესურსებისთვის საბიუჯეტო დანახარჯებში რეგიონებს შორის, აგრეთვე რეგიონების ფარგლებშიც: მაგალითად, აჭარაში, ბათუმში საგანმანათლებლო რესურსებისთვის თითო ბავშვზე საშუალოდ ყოველწლიურად 20.8 ლარი გამოიყოფა, ახლომდებარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კი, ეს თანხა მხოლოდ 5.4 ლარს შეადგენს. განსაკუთრებით, მაღალმთიან ან ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, საბავშვო ბაღებს ხელი არ მიუწვდებათ რესურსებზე ბავშვთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და განვითარების შესაბამისი საქმიანობების დასაგეგმად. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლამდელი დაწესებულებების ხარისხი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ სად იზრდება ბავშვი და რომ ყველა ბავშვს თანაბარი შესაძლებლობები არ აქვს. თუ შევაჯამებთ, სკოლამდელი დაწესებულებების უმრავლესობაში საგანმანათლებლო/სათამაშო რესურსებისთვის დაფინანსება მეტად დაბალია, მნიშვნელოვანი პრობლემაა დაბალი ხელფასებიც.

მმართველობის უნარი მუნიციპალურ დონეზე

მუნიციპალურ სამსახურებში დასაქმებული პერსონალის ძირითადი ფუნქციებია: ბიუჯეტის გამოყოფა და კონტროლი (31.5%), მმართველობითი და ადმინისტრაციული ფუნქციები (14%), და სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგიური მხარდაჭერა (12.6%). ზოგიერთი მათგანი პასუხისმგებელია სკოლამდელი დაწესებულებების სანიტარიულ-ჰიგიენურ და კვების ნორმებზე (6.3%), სხვებს ევალებათ საგანმანათლებლო საქმიანობებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მიერ მიწოდებული საგანმანათლებლო (სასწავლო-სააღმზრდელო) პროცესის ხარისხის მონიტორინგი (6.4%).

საბავშვო ბაღების მენეჯერები/დირექტორები ეჭვქვეშ აყენებენ მუნიციპალურ დონეზე კადრების კომპეტენციებს (განათლების მიმართულებით) და მიაჩნიათ, რომ პედაგოგიური ხარისხის მონიტორინგი და ხარისხის მისაღწევად საჭირო მხარდაჭერა განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობა უნდა იყოს, ხოლო ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კომპეტენციაში ძირითადად ფინანსური მხარდაჭერა უნდა შედიოდეს. თუმცა, მონაწილე-

ები აღიარებენ ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ რისკებს: რადგან მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია, ეს იწვევს სკოლამდელი დაწესებულებების არასაკმარის დაფინანსებას, განსაკუთრებით ღარიბ, სოფლის ტიპის დასახლებებში.

რეკომენდაციები

ხელმისაწვდომობა

- **ჩართულობის გაზრდა.** სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში, არახელსაყრელი მდგომარეობის უარყოფითი შედეგების შემცირებაში და ხელს უწყობს მშობელთა დასაქმებას. სკოლამდელ (3-დან 5 წლამდე) და ადრეული განათლების დაწესებულებებში (0-დან 3 წლამდე) ადგილების რაოდენობის გასაზრდელად, საჭიროა ზომების მიღება.

  მეტი ყურადღება სკოლამდელი განათლების სისტემაში არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი და დაუცველი ბავშვების ჩარიცხვის მიმართ. იმისათვის, რათა არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს უფრო მეტად მიუწვდებოდეთ ხელი სკოლამდელ განათლებაზე, საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება. ეს პროცესი წარმატებული რომ იყოს, ამისთვის მნიშვნელოვანია მასში საზოგადოების შესაბამისი ჯგუფების წარმომადგენელთა მონაწილეობა. სკოლამდელ დაწესებულებებს დამატებითი მხარდაჭერა დასჭირდებათ ეთნიკურ უმცირესობებთან, სოციალურად დაუცველ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ. არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების ჩართულობის გასაზრდელად, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბავშვებისა და ოჯახებისთვის ადრეული აღზრდისა და განათლების სარგებლიანობა, განსაკუთრებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის.

- მეტი ყურადღება **ეთნიკური უმცირესობების** წარმომადგენელი ბავშვების მოზიდვაზე სკოლამდელ დაწესებულებებში და ინვესტიცია **„მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემის“** მიდგომაში. იმ სკოლამდელ დაწესებულებებში, რომლებიც ამ ბავშვებთან მუშაობენ, უნდა დაინერგოს ორენოვანი (ბილინგვური) განათლების ეფექტიანი პროგრამები, რომელიც მოიცავს ბავშვების მშობლიურ ენას.

- **ნახევარდღიანი ხანმოკლე პროგრამების** შექმნა, რომლებიც არსებობს ევროპისა და ცენტრალური აზიის მრავალ ქვეყანაში. ეს არის ხარჯეფექტიანი მოდელი იმ მუნიციპალიტეტებისთვის, სადაც სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა დაბალია. „ადრეული განათლების ეფექტიანი მომსახურებების კვლევიდან“[11] ვიცით, რომ წლის განმავლობაში 500 საათისაგან შემდგარ ნახევარდღიან (ყოველდღიურ) პროგრამებს შეიძლება ისეთივე დადებითი ზეგავლენა ჰქონდეთ, როგორც სრულგანაკვეთიან პროგრამებს. ეს ნახევარდღიანი პროგრამები, არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების ჩართულობის გასაზრდელად, შესაძლოა ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს.

პერსონალი

- **სასწრაფოდ უნდა შეიქმნას სკოლამდელი განათლების სფეროში ახალი პროგრამები უმაღლესი განათლების დონეზე**

  საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი უნდა ეყრდნობოდეს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2017 წელს დაამტკიცა. მნიშვნელოვანია, პროგრამები ხელს უწყობდეს თეორიასა და პრაქტიკას შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებას და აქცენტს აკეთებდეს ბავშვზე ორიენტირებულ სწავლებასა (ექსპერიმენტული ან ბუნებრივი სწავლა) და მრავალფეროვნების კონტექსტში მუშაობაზე. საუნივერსიტეტო განათლება და შემდგომი ტრენინგები ყურადღებას უნდა ამახვილებდეს რეფლექსიური კომპეტენციების შეძენაზე.

  თანამშრომლობა European Erasmus plus-ის პროექტებში, შესაძლოა მეტად საინტერესო იყოს ევროპის სხვა ქვეყნებიდან კოლეგების გასაცნობად და ახალი პედაგოგიური მიდგომების შესახებ ინფორმაციის გასაცვლელად.

  აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი საუნივერსიტეტო განათლების და შემდგომი პროფესიული განვითარების რეფორმის საფუძველი უნდა იყოს. უნივერსიტეტები და ტრენინგის მიმწოდებელი ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ სტანდარტის საფუძველზე საგანმანათლებლო/ტრენინგ პროფილის (პროგრამები, შესაბამისი მოდულები და ა.შ.) შემუშავებაში.

- **არაკვალიფიციური პერსონალისთვის კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობის შექმნა.** მკვლევრების, ტრენერების, ლექტორებისა და სექტორის წარმომადგენლების ჯგუფის შეკრება საბაკალავრო კვალიფიკაციების მიღების ალტერნატიული გზების შესამუშავებლად, რომლებიც მორგებული იქნება იმ აღმზრდელებზე, რომლებიც უკვე დასაქმებულნი არიან სკოლამდელ დაწესებულებებში (ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. NESETII კვლევა[12]).

- **დირექტორთა სატრენინგო პროგრამის**[13] შექმნა, რადგან ეფექტიანი ხელმძღვანელობა მიიჩნევა „უმნიშვნელოვანეს ფაქტორად საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებაში, მისწრაფებების გაზრდასა და ბავშვებისთვის, მშობლებისა და პერსონალისთვის მხარდაჭერის გაწევაში“ (ევროკავშირის საბჭო, 2009წ.).

- **არასაკონტაქტო საათების** ხელმისაწვდომობასთან ერთად, აღმზრდელებს, მნიშვნელოვანია ჰქონდეთ სხვადასხვა ექსპერტის მხარდაჭერა **პედაგოგიური „ქოუჩინგის“** გზით (რეგულარული კონსულტაციები, საკუთარი პრაქტიკის ანალიზის პროცესში უფრო გამოცდილი და კომპეტენტური სპეციალისტის დახმარება, რეკომენდაციების მიღება და ა.შ.), რაც გააუმჯობესებს საბავშვო ბაღებში არსებულ პრაქტიკას და შესაძლებელს გახდის ადრეული და სკოლამდელი განათლების ახალი ეროვნული სტანდარტების დანერგვას.

- ღონისძიებების გატარება გადატვირთული ჯგუფების თავიდან ასაცილებლად. **ჯგუფებში ბავშვების რაოდენობის შემცირება**. ეს არის ის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა, რომელიც საქართველოში სკოლამდელი დაწესებულებების წინაშე დგას.

- ინვესტირება პროფესიული განვითარების სხვადასხვა ეფექტიანი მოდელის დანერგვაში, ვინაიდან მრავალი მტკიცებულება არსებობს, როგორც ლიტერატურიდან, ისე პრაქტიკის კვლევიდან, რომლის მიხედვითაც, **უწყვეტი პროფესიული განვითარების ყოვლისმომცველ და გრძელვადიან** ინიციატივებს შეუძლიათ ისეთი დადებითი შედეგების მოტანა, რომლებიც უთანაბრდება პირველად საუნივერსიტეტო განათლებას. მოკლევადიანი სატრენინგო კურსები (მაგალითად, წელიწადში რამდენიმე დღე) საკმარისი არ არის და არაეფექტიანია. ეს მოითხოვს უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართ არსებული მიდგომების გადააზრებას და უფრო მდგრადი და ყოვლისმომცველი მიდგომების დანერგვას პედაგოგიური მენტორობის/"ქოუჩინგის" და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლის საფუძველზე.

  საქართველომ უნდა მოახდინოს ინვესტირება უწყვეტი პროფესიული განვითარების ინტენსიურ პროგრამებში, რომლებიც **ხორციელდება სულ მცირე ორი წლის განმავლობაში, რადგან Eurofound-ის ფართომასშტაბიანი კვლევიდან ვიცით, რომ ასეთი ტიპის, დაწესებულების თანამშრომელთა გუნდის დონეზე არსებული მენტორული პროგრამები** დადებითად აისახება სკოლამდელი განათლების ხარისხის ზრდასა და ბავშვების სწავლასა და განვითარებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)

- აღმზრდელებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ახალი ეროვნული სტანდარტების საფუძველზე, **გადამზადებისთვის საჭირო დამხმარე რესურსების შემუშავება:** ვიდეოფილმები იმ სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული პრაქტიკის მაგალითებით, რომლებიც უკვე იყენებენ სტანდარტებს, ბროშურები, ვებგვერდები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა შესრულდეს სტანდარტები პრაქტიკაში. ამ მასალებზე მსჯელობა კოლეგებთან და ექსპერტებთან ერთად შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან შთაგონების წყაროდ. ამასთან, შესაძლებელია ქართულ ენაზე ითარგმნოს უკვე არსებული ვიდეოფილმები და ბროშურები თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების შესახებ. სტანდარტები და დამხმარე რესურსები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ყველასთვის, ვინც ჩართულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვაში (მათ შორის, დამხმარე პერსონალი: თანაშემწეები, სპეც. პედაგოგები, ფსიქოლოგები და სხვა, აგრეთვე, მშობლები) საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებულ სკოლამდელ დაწესებულებებში, სოფლებსა და მაღალმთიან რაიონებში.

- მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგებს და აღმზრდელებს **ხელი მიუწვდებოდეთ რესურსებსა და მასალებზე** (სათამაშოები, საბავშვო წიგნები, დიდაქტიკური მასალა), რომელიც მათ დაეხმარება ახალი სტანდარტების და შესაბამისი კურიკულუმის განხორ-

ციელებაში და შექმნის განმავითარებელ გარემოს ბავშვებისთვის და ხელს შეუწყობს **მშობელთა მონაწილეობას**.

- მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მშობელთა მონაწილეობას. ყველა მშობელი და სკოლამდელი დაწესებულების პერსონალი ბავშვების აღზრდის პროცესში მშობლებს თანასწორ პარტნიორებად უნდა აღიქვამდეს. ამ მხრივ, ადრეულ განათლებაში მრავალფეროვნების პრინციპების ევროპული ჩარჩო (DECET) [14] შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი.

მონიტორინგი და შეფასება

- **მონაწილე მხარეებმა** (მათ შორის, მშობლებმა), მკვლევრებმა, ტრენერებმა/ლექტორებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა უნდა გამართონ **ფართო განხილვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს** სკოლამდელი განათლების მთლიანი სექტორის **ხარისხის მონიტორინგი.** მთავრობისაგან დამოუკიდებელი პირი, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს, უნდა თავმჯდომარეობდეს ამ განხილვას. ადრეული და სკოლამდელი განათლების ახალი ეროვნული სტანდარტები უნდა იყოს ამ სამუშაო ჯგუფის შთაგონების წყარო. მნიშვნელოვანია, რომ მონაწილე მხარეები მონიტორინგს აღიქვამდნენ, როგორც სკოლამდელი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებელ პროცესს და არა როგორც სადამსჯელო ან ბიუროკრატიულ პროცედურას.

- **ეროვნულ დონეზე სკოლამდელი განათლების მონიტორინგის სისტემის შემუშავება,** რომელიც ზედამხედველობის ორგანოებს მისცემს სკოლამდელი დაწესებულებების ხარისხის შეფასების შესაძლებლობას.

- ტრენინგის მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა, უნივერსიტეტებმა, რესურს-ცენტრებმა და სხვა პარტნიორებმა, რომლებიც მუშაობდნენ ახალი სტანდარტების შექმნასა და დანერგვაზე, უნდა შეიმუშაონ **თვითშეფასების ინსტრუმენტი აღმზრდელ-პედაგოგებისთვის,** ადრეული და სკოლამდელი განათლების ახალი ეროვნული სტანდარტების საფუძველზე.

- მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ სკოლამდელი განათლების დაწესებულებების **მონიტორთა კომპეტენციების განვითარება.**

მართვა

- უნდა განხორციელდეს ინიციატივები ყველა დონეზე (ინდივიდუალური, გუნდური, ინსტიტუციური, სამთავრობო, საერთაშორისო ქსელები/ორგანიზაციები) ისეთი **კომპეტენტური სისტემის შესაქმნელად, რომელიც ქმნის ახალი სტანდარტების განხორციელებისთვის საჭირო ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობას.** მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში დაგროვილი გამოცდილების გამოყენება, როგორიცაა გაეროს ბავშვთა ფონდი.

- **სკოლამდელ დაწესებულებებს უნდა მიენიჭოთ მეტი ავტონომია** ადამიანური რესურსების მართვაში, ყოველდღიური სამუშაო პროცესისთვის საჭირო საბიუჯეტო სახსრების განკარგვის და თავიანთი პედაგოგიური მიდგომისა და ხედვის არჩევაში (ნებისმიერი მიდგომა, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს).

- **ცენტრალურმა მთავრობამ** შედარებით შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსების მქონე მუნიციპალიტეტებს მხარი უნდა დაუჭიროს მონიტორინგის პოლიტიკის შემუშავებაში, ადამიანური რესურსების მართვაში, ადეკვატურ დაფინანსებასა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის შემუშავებაში.

- **მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავება შინიდან სკოლამდელი განათლების სისტემაში და სკოლამდელი დაწესებულებიდან სკოლის დაწყებით საფეხურზე შეუფერხებელი ტრანზიციის** უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, სპეციალური საჭიროებებისა და არახელსაყრელი პირობების მქონე ბავშვებისთვის.

ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვისა და განათლების ხარისხის ევროპული ჩარჩო			რა ეტაპზეა საქართველო? ფერები აღნიშნავენ შემდეგს: მწვანე – მიღწეული ყვითელი- ნაწილობრივ მიღწეული წითელი- არ არის მიღწეული/არ არსებობს
ხარისხის პრინციპები	დებულებები	ინდიკატორები	
1. ხელმისაწვდომობა	მომსახურება, რომელიც ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომია ყველა ოჯახისათვის და მათი შვილებისათვის.	*რა არის ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების სისტემაში ამჟამინდელი/2020 წლისთვის მოსალოდნელი ჩართულობის მაჩვენებელი ევროკავშირის 2020 წლის სამიზნე ნიშნულთან მიმართებაში: 4-დან 6 წლამდე ბავშვების 95%-იანი ჩართულობა?*	69.5% (2017)
		არის თუ არა სკოლამდელი განათლება (0-დან 6 წლამდე) უფასო ან ოჯახის შემოსავლის ოდენობაზე დამოკიდებული?	დიახ, თუმცა მხოლოდ 2-დან 6 წლამდე ასაკისთვის
	მომსახურება, რომელიც ახალისებს მონაწილეობას, აძლიერებს სოციალურ ინკლუზიას და პატივს სცემს მრავალფეროვნებას.	*არსებობს თუ არა ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მოიცავს სპეციფიურ ღონისძიებებს არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფებისთვის (პროგრესული უნივერსალიზმი)?*	არ არსებობს თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკა

ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვისა და განათლების ხარისხის ევროპული ჩარჩო			რა ეტაპზეა საქართველო? ფერები აღნიშნავენ შემდეგს: მწვანე – მიღწეული ყვითელი- ნაწილობრივ მიღწეული წითელი- არ არის მიღწეული/არ არსებობს
ხარისხის პრინციპები	დებულებები	ინდიკატორები	
2. პერსონალი	მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთა განათლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება საშუალებას აძლევს მათ, შეასრულონ თავიანთი პროფესიული მოვალეობები.	*არის თუ არა პერსონალის 50% კვალიფიცირებული ბაკალავრიატის დონეზე?*	არა (29%)
		პედაგოგთა მოსამზადებელ საუნივერსიტეტო პროგრამებში არსებობს თუ არა ბალანსი თეორიასა და პრაქტიკას შორის და კეთდება თუ არა აქცენტი პრაქტიკის რეფლექსიაზე, ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომაზე, ადრეულ ასაკში ექსპერიმენტებით და თამაშით სწავლის ბუნებრივ და მრავალფეროვან ფორმებზე.	პედაგოგების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამები არ არსებობს
		არის თუ არა უწყვეტი პროფესიული განვითარება პროფესიული ვალდებულება მთელი პერსონალისთვის? პროფესიული განვითარების პროგრამაში ჩართვისთვის, არსებობს თუ არა ფინანსური სტიმულები დაწესებულებებისთვის ან თანამშრომლებისთვის?	არა
		აქვთ თუ არა აღმზრდელებს ანაზღაურებადი არასაკონტაქტო (ჯგუფს გარეთ) საათები „ქოუჩინგისთვის“ და კოლეგებთან ჯგუფური შეხვედრების ორგანიზებისთვის?	როგორც წესი, არასაკონტაქტო საათები არ აქვთ, ან არ ითვლება სამუშაო დროდ
		შეუძლია თუ არა ყველა სკოლამდელ დაწესებულებას დაეყრდნოს სპეციალიზებულ თანამშრომლებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან, არახელსაყრელი მდგომარეობის მქონე ჯგუფებთან სამუშაოდ და შეუძლიათ თუ არა მიიღონ პედაგოგიური სპეციალისტების („ქოუჩების“/მენტორების) მხარდაჭერა ინოვაციების დანერგვისას?	არა; იქ, სადაც სპეციალური კადრები არსებობს, ხშირად, მათი კვალიფიკაცია არ არის რელევანტური.
		მიუწვდებათ თუ არა ხელი დირექტორებს ტრენინგზე, „ქოუჩინგზე“ ან სუპერვიზიაზე?	ხანმოკლე ტრენინგები და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში
		არსებობს თუ არა ალტერნატიული მექანიზმები არაკვალიფიციური პერსონალისთვის კვალიფიკაციის მისაღებად?	არა
	ხელშემწყობი სამუშაო პირობები, მათ შორის, ხელმძღვანელობა, რომელიც ქმნის დაკვირვების, რეფლექსიის, დაგეგმვის, გუნდური მუშაობისა და მშობლებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს.	*ხდის თუ არა სამუშაო პირობები (ხელფასების დონე, პროფესიის სტატუსი) სკოლამდელი განათლების დარგში დასაქმებას მიმზიდველს?*	არა
		შეესაბამება თუ არა ზრდასრულებისა და ბავშვების თანაფარდობა (1/12) და ჯგუფში ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა (24) საერთაშორისო სტანდარტებს?	არა
		აქვთ თუ არა აღმზრდელებს საკმარისი რესურსები ბავშვებისთვის განმავითარებელი გარემოს შესაქმნელად?	არა
		კეთდება თუ არა საკმარისი აქცენტი რეფლექსიური კომპეტენციების და დაგეგმვისთვის საჭირო კომპეტენციების გაძლიერებაზე?	არა

ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვისა და განათლების ხარისხის ევროპული ჩარჩო			რა ეტაპზეა საქართველო? ფერები აღნიშნავენ შემდეგს: მწვანე – მიღწეული ყვითელი- ნაწილობრივ მიღწეული წითელი- არ არის მიღწეული/არ არსებობს
ხარისხის პრინციპები	დებულებები	ინდიკატორები	
3. კურიკულუმი (სგანმანათლებლო პროგრამა)	პედაგოგიურ მიზნებზე, ღირებულებებსა და მიდგომებზე დაფუძნებული კურიკულუმი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას და სრული პოტენციალის რეალიზებას	*ეთმობა თუ არა ხანმოკლე პროგრამებს დღეში სულ მცირე 3 და წელიწადში დაახლოებით 500 საათი?*	ხანმოკლე პროგრამები (დღეში 3 საათი) ხელმისაწვდომია მხოლოდ „სასკოლო მზაობის პროგრამებისთვის“
		არსებობს თუ არა პედაგოგიურ მიზნებსა და სამეცნიერო მიდგომებზე დაფუძნებული კურიკულუმი?	არსებობს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი (სახელმწიფო სტანდარტები), თუმცა არ ხორციელდება
		არსებობს თუ არა ბალანსი აღმზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვების მიერ ინიცირებულ და მართულ აქტივობებს შორის? კეთდება თუ არა აქცენტი პროექტზე დაფუძნებულ სწავლაზე ან ბუნებრივი სწავლის ფორმებზე, აქვთ თუ არა ბავშვებს შესაძლებლობა, თავად წარუძღვნენ თავიანთი სწავლის პროცესს?	კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში (სახელმწიფო სტანდარტები), თუმცა არ ხორციელდება
		არის თუ არა ურთიერთობა ბავშვებთან თბილი და წამახალისებელი? და აქვს თუ არა ადგილი რაიმე ფორმით დისკრიმინაციას ღარიბი და არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების მიმართ?	კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში (სახელმწიფო სტანდარტები), თუმცა არ ხორციელდება
	კურიკულუმი, რომელიც პერსონალისაგან მოითხოვს თანამშრომლობას ბავშვებთან, კოლეგებსა და მშობლებთან და საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიას.	*მოითხოვს თუ არა კურიკულუმი პერსონალისაგან ბავშვებთან, კოლეგებთან და მშობლებთან თანამშრომლობას და ხელს უწყობს თუ არა სასწავლო გეგმა საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიას?*	დიახ, თუმცა ჯერ არ განხორციელებულა
		არსებობს თუ არა პოლიტიკა არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან დაკავშირებით, რომელიც მათთვის და მათი ოჯახებისთვის დამატებით მხარდაჭერას ითვალისწინებს?	არა

ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვისა და განათლების ხარისხის ევროპული ჩარჩო			რა ეტაპზეა საქართველო? ფერები აღნიშნავენ შემდეგს: მწვანე – მიღწეული ყვითელი- ნაწილობრივ მიღწეული წითელი- არ არის მიღწეული/არ არსებობს
ხარისხის პრინციპები	დებულებები	ინდიკატორები	
4. მონიტორინგი და შეფასება	მონიტორინგის და შეფასების სისტემა შესაბამის ადგილობრივ, რეგიონულ ან/და ეროვნულ დონეზე, აგროვებს ინფორმაციას პოლიტიკისა და პრაქტიკის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების ხელშესაწყობად.	*არსებობს თუ არა სკოლამდელი განათლების მთლიანი სისტემის ხარისხის შეფასება? არის თუ არა ხარისხის ეს შეფასება შეფასების საერთაშორისო სკალების შესაბამისი? როგორია ამ შეფასების სიხშირე?*	არა
		არის თუ არა სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგის სისტემა თანმიმდევრული და კარგად განვითარებული და ეყრდნობა თუ არა იგი მონიტორინგის საერთაშორისო სტანდარტებს?	არა
	მონიტორინგი და შეფასება, რომელიც შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესს. მონიტორინგისა და შეფასების პროცესები ხორციელდება ბავშვების, ოჯახებისა და თემების ხელშეწყობის მიზნით.	*არსებობს თუ არა დაკვირვებისა და დოკუმენტირების პორტფოლიოების, ან ნარატიული ანგარიშების სისტემა / როგორც ბავშვის ინდივიდუალური პროგრესის მონიტორინგის საშუალება? რა სიხშირით წარმოებს ასეთი ინდივიდუალური შეფასება?*	ზოგიერთ შემთხვევებში არსებობს, თუმცა არ არის გავრცელებული პრაქტიკა

ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვისა და განათლების ხარისხის ევროპული ჩარჩო			რა ეტაპზეა საქართველო? ფერები აღნიშნავენ შემდეგს: მწვანე – მიღწეული ყვითელი- ნაწილობრივ მიღწეული წითელი- არ არის მიღწეული/არ არსებობს
ხარისხის პრინციპები	დებულებები	ინდიკატორები	
5. მართვა	სკოლამდელი განათლების სისტემაში მონაწილე მხარეებს აქვთ თავიანთი როლისა და პასუხისმგებლობების ნათელი და საერთო გაგება, მათ ასევე იციან, რომ მათგან პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას მოელიან.	*აძლევს თუ არა მთავრობა საკმარის ავტონომიას სკოლამდელ დაწესებულებებს, შეუძლიათ თუ არა მათ განავითარონ თავიანთი ადამიანური რესურსების მართვის სისტემა?*	არა (გარდა 4 მუნიციპალიტეტისა)
		აქვთ თუ არა სახელმწიფო უწყებებს შესაძლებლობა, აღასრულონ და გაუწიონ კონტროლი ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების შესახებ კანონმდებლობასა და რეგულაციებს?	ამ მხრივ არსებული გამოწვევებია: მუნიციპალურ დონეზე პერსონალის კომპეტენცია, საჭირო ფინანსური რესურსების ნაკლებობა.
		უწყობს თუ არა კანონმდებლობა და რეგულაციები ხელს თანამშრომლობას სხვადასხვა მონაწილე მხარეებს შორის? აქვთ თუ არა მათ თავიანთი როლისა და პასუხისმგებლობების ცალსახა და გაზიარებული გაგება და არსებობს თუ არა მოლოდინი, რომ ისინი ითანამშრომლებენ პარტნიორ ორგანიზაციებთან?	ახალი კანონი განსაზღვრავს სხვადასხვა მონაწილეთა პასუხისმგებლობებს, თუმცა ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანამშრომლობა მონაწილეებს შორის გათვალისწინებული არ არის
	კანონმდებლობა, რეგულაციები ან/და დაფინანსება ხელს უწყობს პროგრესს საყოველთაო სამართლებრივი უფლებისკენ საჯარო სახსრებით სუბსიდირებულ ან სრულად დაფინანსებულ სკოლამდელ განათლებაზე და პროგრესის შესახებ ანგარიშგება ხდება რეგულარულად ყველა მონაწილის მისამართით.	*არსებობს თუ არა სტრატეგიული გეგმა (შესაბამისი კანონმდებლობით, რეგულაციებით და დაფინანსებით), რომელიც შეეხება საყოველთაო სამართლებრივ უფლებას საჯარო სახსრებით სუბსიდირებულ ან სრულად დაფინანსებულ სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფას და ხდება თუ არა პროგრესზე ანგარიშგება ყოველწლიურად?*	სამართლებრივი უფლება გარანტირებულია კანონით, თუმცა არ არსებობს სტრატეგიული გეგმა ამ პროცესის პრაქტიკაში საყოველთაო განხორციელებისთვის
		განახორციელა თუ არა ადგილობრივმა ან ცენტრალურმა ხელისუფლებამ რაიმე ღონისძიებები ადრეული და სკოლამდელი განათლების მნიშვნელობის ხაზგასასმელად, მათ შორის, არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მისამართით?	სკოლამდელი განათლების მნიშვნელობას ხაზი ესმევა რიგ ცალკეულ საჯარო განცხადებებში, თუ ღონისძიებებზე, თუმცა ნაკლებად - ზოგადად განათლებასთან დაკავშირებული დისკუსიების უმრავლესობაში

1 European Comission /Working group on Early Childhood Education and Care/ (2014). Key Principles of a Quality Framework for Early Childhood Education and Care. http://ec.europa.eu/assets/eac/education/experts-groups/2011-2013/ecec/ecec-quality-framework_en.pdf

2 Dumcius, R., Peeters, J., Hayes, N., Van Landeghem, G., Siarova, H., Peciukonyté, L., Ceneric, I. & Hulpia, H. (2014).Study on the effective use of early childhood education and care (ECEC) in preventing early school leaving (ESL). Report for the European Commission DG Education and Culture. Brussels.

3 UNICEF (2016). Welfare Monitoring Survey 2015. http://unicef.ge/uploads/Welfare_Monitoring_Survey_Georgia-GEO_WEB.pdf

4 Urban, M., Vandenbroeck, M., Peeters, J. Lazzari, A., Van Laere, K. (2011). CoRe Final report. Brussels European Commission.

5 Peeters, J., Lazzari, A., Cameron, C., Budginaite, I., Hauari H., Peleman, B. & Siarova, H. (2015). Early Childhood Care: working conditions, training and quality - A systematic review. Dublin: Eurofound.

6 Peleman, B;, Lazzari, A.,Peeters, J. Budginaité, I. Siarova, H. Huauari, H. Cameron C. (2018). Continuous professional development and ECECquality: Findings from a European systematic literature review. Eur. J . Educ 2018/53_9_22

7 National Statistics Office of Georgia. Average monthly nominal earnings of employess by economic activity 2014-2016. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=149&lang=eng

8 Broström, S. (2003). Unity of Care, Teaching and Upbringing – A theoretical Contribution towards a new paradigm in early childhood education. In Researching Early Childhood, Volume 5: Care Play and Learning, Curricula for Early Childhood Education, Ed. Karlsson Lohmander, M. pp 21-37. Göteborg University.

9 Pramling Samuelsson, I. & E. Johansson. Play and Learning- Inseparable dimensions in preschool practice. Early Child Development and Care, 176 (1), pp 47-65.

10 Sharmahd N., Peeters, J., Van Laere, K., Vonta, T., De Kimpe, C., Brajković, S., Contini, L., Giovannini, D. (2017). Transforming European ECEC services and primary schools into professional learning communities: drivers, barriers and ways forward, NESET II report, Luxembourg: Publications Office of the European Union.

11 Sylva, Kathy; Melhuish, Edward; Sammons, Pam; Siraj-Blatchford, Iram; Taggart, Brenda; (2004) The Effective Provision of Pre-School Education (EPPE) Project: Final Report: A

Longitudinal Study Funded by the DfES 1997-2004. Institute of Education, University of London/ Department for Education and Skills/Sure Start: London

12 Peeters, J., Sharmahd, N., Budginaité,I.(2016). Professionalisation of Childcare assistants in ECEC. Pathways towards qualification. NESET II report. Luxembourg: Publications of the European Union.

13 Peeters, J., De Kimpe, C., Brandts (2016). The competent system in Ghent. In: Vandenbroeck, Urban, Peeters. Pathways to Professionalism. London, Routlegde.

14 DECET. (2011). Making sense of good practice. DECET.